



პროცესი

არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელი

[უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დასახელება]

VI და VII დონეები

[უმაღლესი განათლების დონეები]

26.11.2019

მიღების/განახლების თარიღი

## უმაღლესი განათლების პირველი ან/და მეორე საფეხური<sup>1</sup>

### I. შესავალი

მოცემული დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც არქიტექტურის სფეროს VI და VII დონეების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ სტანდარტს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებს.

არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს შესაბამისი სფეროს საბაკალავრო (VI დონე) და სამაგისტრო (VII დონე) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სტუდენტთა მობილობას, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, არქიტექტურის პროფესიაში შესვლასა და დასაქმებას.

წინამდებარე დოკუმენტი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და არქიტექტურის საერთაშორისო სტანდარტებზე (UNESCO-UIA-არქიტექტურული განათლების ქარტია და ევროდირექტივა - 2005/36-EU) დაყრდნობით განსაზღვრავს იმ მინიმალურ სწავლის შედეგებს, რაც მოეთხოვება პირს არქიტექტურის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე სწავლის დასრულების შემდეგ - ცოდნის, გაცნობიერების უნარებისა და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის თვალსაზრისით.

დარგობრივი მახასიათებელი არის მნიშვნელოვანი წყარო, არა მარტო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისათვის, არამედ ასევე გარე ხარისხის უზრუნველყოფისათვისაც, ვინაიდან ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების განხილვა და შეფასება ხორციელდება დარგობრივ მახასიათებლით განსაზღვრულ აკადემიურ სტანდარტთან.

არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელი მნიშვნელოვანია ასევე დამსაქმებლებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, რომელსაც სურს მიიღოს ინფორმაცია არქიტექტურის ბაკალავრისა და მაგისტრის ცოდნასა და უნარებთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნების შესახებ.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 7 წელი. წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს იმ მინიმალურ სტანდარტს, რომლის დაცვა სავალდებულოა არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამების დეტალური შინაარსი და მისი განხორციელების გზები განისაზღვრება თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ინდივიდუალურად.

დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია არქიტექტურის სწავლის სფერო და არქიტექტურის ბაკალავრისა და არქიტექტურის მაგისტრის მისანიჭებლად აუცილებელი

<sup>1</sup>ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტები უნდა ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის შემთხვევაში ცალ-ცალკე.

სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სხვა დამატებითი ინფორმაცია.

## II. სწავლის სფეროს აღწერა

არქიტექტურა არის სწავლისა და საქმიანობის სფერო, რომელიც ეფუძნება სოციალური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და შემოქმედებითი ხელოვნების დარგებს და აერთიანებს ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და ესთეტიკურ ასპექტებს.

არქიტექტურის სწავლის სფეროს ძირითადი ნაწილია არქიტექტურული პროექტირება, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება: ინჟინერიას, ტექნოლოგიას, გარემოს, სოციალურ და კულტურულ კონტექსტს, მენეჯმენტს, სამართალსა და კომუნიკაციას.

არქიტექტურა, როგორც სწავლისა და დასაქმების სფერო, არის გლობალური და შესაბამისად, არქიტექტურული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები მსგავსია საერთაშორისო დონეზე; პროფესიაში შესვლის სერტიფიცირებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების მოთხოვნები კი არის ეროვნული რეგულაციების საკითხი.

“საქართველოს სივრცის და გეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის” (2018) 140-ე მუხლის მიხედვით სავალდებულო სერტიფიცირებას ექვემდებარება: არქიტექტურული პროექტის დამოწმების უფლებამოსილების მქონე არქიტექტორი, არქიტექტურული პროექტის ექსპერტი, მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში სანებართვო დოკუმენტაციის შემსწავლელი სპეციალისტი.

ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივა EC/2005/36 “პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ”<sup>2</sup> განსაზღვრავს, არქიტექტურის პროფესიაში შესასვლელად საჭირო კვალიფიკაციის მინიმალურ სწავლის შედეგებს, რისი მიღწევაც შესაძლებელი უნდა იყოს ჯამში მინიმუმ 300 ECTS კრედიტით (მუხლი 46, ნაწილი 1). ევროდირექტივისა და კოდექსის 140-ე მუხლის შესაბამისად არქიტექტორის პროფესიაში შესვლისათვის აუცილებელია არქიტექტურის მაგისტრის (Master of architecture) კვალიფიკაცია, რომელიც ეფუძნება არქიტექტურის ბაკალავრის (Bachelor of Architecture) კვალიფიკაციას.

## III. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა დააბალანსოს არქიტექტურის სწავლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები და უზრუნველყოს სულ მცირე შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევა:

<sup>2</sup> <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32005L0036>

1. არქიტექტურაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი  
სწავლის შედეგები:

1.1. ცოდნა და გაცნობიერება

არქიტექტურის ბაკალავრს:

- აქვს არქიტექტურის ისტორიისა და თეორიისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ხელოვნების, ტექნოლოგიების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების უახლესი მიღწევების ცოდნა და ახდენს მათ გააზრებას;
- აცნობიერებს სოციალურ-კულტურულ, ქალაქთმშენებლობით, არქიტექტურულ ფასეულობებზე, გარემოს დაცვაზე და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობას;
- აღწერს და კრიტიკულად იაზრებს არქიტექტურული პროექტირებისთვის / კონცეფციების ხორცშესხმისთვის აუცილებელ პროცედურებს და პროცესებს, ასევე დაპროექტების თეორიისა და მეთოდების ზოგიერთ უახლეს ასპექტებს;
- ახდენს მშენებლობასთან და შენობა-ნაგებობის სისტემებთან დაკავშირებული სტრუქტურების, მასალების, კონსტრუქციების, პროცესების, ტექნოლოგიების და საინჟინრო საკითხების გააზრებას;
- აცნობიერებს არქიტექტურის პროფესიის როლსა და მნიშვნელობას გარემოს დაგეგმვის, დაპროექტების, მშენებლობის, კეთილმოწყობისა და გამოყენების პროცესებში.

1.2. უნარი

არქიტექტურის ბაკალავრი:

- წარმოსახვით და შემოქმედებითი მიდგომით, სამგანზომილებიანი, სივრცითი აზროვნებით აყალიბებს საპროექტო კონცეფციას და, წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ქმნის არქიტექტურულ პროექტს ესთეტიკური და ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით;

- საპროექტო დავალებისთვის შეგროვილი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და კვლევის მეთოდების გამოყენებით, წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად ამუშავებს და დოკუმენტურად აფორმებს არქიტექტურულ პროექტს;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში, ერთდროულად ითვალისწინებს და ასახავს კონსტრუქციებს, ტექნოლოგიებს, მასალების ტექნიკურ, ესთეტიკურ და საექსპლუატაციო თვისებებს, ასევე მომსახურე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემებს;
- არქიტექტურული პროექტის შემუშავების, წარდგენისა და განხილვისთვის იყენებს ელექტრონულ, გრაფიკულ, მაკეტირების, ვერბალურ, წერით, მულტიმედიის და სხვა მეთოდებს.

### 1.3. პასუხისმგებლობა და ავტონომია

არქიტექტურის ბაკალავრი:

- არქიტექტურული დაპროექტების პროცესში მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში; ამ პროცესში პროფესიული პასუხისმგებლობისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, სხვადასხვა ფორმებითა და მეთოდებით ამყარებს კომუნიკაციას;
- ახდენს ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებების განსაზღვრას და პროფესიული განვითარების დაგეგმვას.

## 2. არქიტექტურაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

### 2.1. ცოდნა და გაცნობიერება

არქიტექტურის მაგისტრი:

- ახდენს არქიტექტურის მირითადი კონცეფციების, თეორიების, მეთოდებისა და უახლესი ტენდენციების/დისკურსის, სტრატეგიებისა და გეგმარების პოლიტიკის ინტერპრეტირებას;
- აცნობიერებს არქიტექტურულ პროექტზე ესთეტური, ტექნიკური, ფუნქციურ-ტექნოლოგიური, ერგონომიკული, სივრცული, ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და მდგრადი განვითარების ფაქტორების გავლენას, როგორც საფუძველს ინოვაციური მიდგომებისთვის;

- აცნობიერებს არქიტექტურულ საქმიანობასა და სამშენებლო ინდუსტრიასთან დაკავშირებული ბიზნესის პროცესებს, პროფესიულ და სამართლებრივ რეგულაციებსა და პროცედურებს;
- სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით ასაბუთებს არქიტექტორის პროფესიის მნიშვნელობას, განსაკუთრებით საპროექტო დავალებების მომზადების ეტაპზე; წარმოაჩენს არქიტექტორის როლს საზოგადოებაში.

## 2.2. უნარი

არქიტექტურის მაგისტრი:

- არქიტექტურის პროფესიის მნიშვნელობის და საზოგადოებაში არქიტექტორის როლის გააზრებით ახდენს არქიტექტურული საქმიანობის იმპლემენტაციას;
- რთულ, ბუნებრივ და მულტიდისციპლინარულ, კომპლექსურ გარემოში დაპროექტებისას ფუნქციურ-ტექნოლოგიური, კლიმატური, ჰუმანიტარული, სოციალური, ეკონომიკური, გარემოს დაცვითი, კულტურული ასპექტების და ესთეტიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, ეთიკის პრინციპებზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად იღებს ადგვატურ და ინოვაციურ გადაწყვეტილებებს;
- დამოუკიდებლად აყალიბებს საპროექტო დავალებას და უახლესი მეთოდების, მიღების გათვალისწინებით ირჩევს დაპროექტების ოპტიმალურ ხერხებსა და საშუალებებს;
- პროექტში ერთ, ეფექტურად ფუნქციონირებად მთლიანობად აერთიანებს ინოვაციურ კონსტრუქციებს, საკომუნიკაციო, საინჟინრო და უსაფრთხოების სისტემებს;
- ირჩევს არქიტექტურული კვლევის მეთოდებს, იყენებს სისტემურ ანალიზს და აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით შეიმუშავებს და იცავს საპროექტო ან/და კვლევით ნაშრომს;
- იყენებს ეფექტურ წერილობით, ზეპირ, გრაფიკულ და სხვა მეთოდებს პროექტის შემუშავების, შემოწმების, კრიტიკული შეფასების და მშენებლობის პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეთა შორის კომუნიკაციისთვის.

## 2.3. პასუხისმგებლობა და ავტონომია

არქიტექტურის მაგისტრი:

- პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით შეთანხმებულად მუშაობს მულტიდისციპლინურ გუნდში; უწევს მას კოორდინაციას; იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და მათზე პასუხისმგებლობას.
- დამოუკიდებლად წარმართავს კვლევით პროცესს სათანადო რესურსების ავტონომიურად მოძიების, ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით.

#### IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები უნდა იყოს დოკუმენტირებული, საჯაროდ ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის და აუცილებელად უნდა დაეფუძნოს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.

სწავლებისა და შეფასების მეთოდები თანხვედრაში უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად მიზნებთან, სწავლის შედეგებსა და სპეციალურ კურსთან. სწავლებისა და სწავლის მეთოდებმა, შეფასების შესაბამისმა ამოცანებმა და კრიტერიუმებმა საშუალება უნდა მისცეს სტუდენტს წარმოაჩინოს სწავლის შედეგები და დარგობრივ მახასიათებლთან ზოგადი შესაბამისობა.

სწავლის, სწავლებისა და შეფასების ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა სწავლა/სწავლებისა და შეფასების ყველაზე გავრცელებული ფორმებია. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს მათგან მხოლოდ ზოგიერთს, ასევე, სხვა მეთოდებს. ყველა შემთხვევაში არქიტექტურის სკოლა უნდა ახდენდეს სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების რეგულარულ გადახედვა-განახლებას.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლების, სწავლისა და შეფასების ქვემოთ მოცემული მეთოდები სარეკომენდაციო ხასიათისაა, ავტორებს მიაჩნიათ, რომ კონკრეტული მეთოდების შერჩევისას მნიშვნელოვანია მიღწეულ იქნას ამ დარგობრივი მახასიათებელით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

ავტორები ითვალისწინებენ იმასაც, რომ სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების ადეკვატურობა, აგრეთვე, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების ოდენობა და ხარისხი ექვემდებარება პერმანენტულ გარე შეფასებას საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გზით. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობას. სტუდენტმა უნდა შეძლოს სწავლაში აქტიურად ჩართვა და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენება, რეალისტურ სიტუაციებსა და ვარიანტებზე დაყრდნობით.

##### 1.1 სწავლება-სწავლის მეთოდები

- სტუდიური სწავლება;
- ლექცია
- სემინარი (ჯგუფში მუშაობა)
- პრაქტიკული
- ლაბორატორიული
- საკურსო სამუშაო/პროექტი

- პრაქტიკა
- კონსულტაცია
- დამოუკიდებელი მუშაობა

#### 1.2 სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები

- დისკუსია/დებატები
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- შემთხვევების შესწავლა (Case study)
- გონიერივი იერიში (Brain storming)
- როლური და სიტუაციური თამაშები
- დემონსტრირების მეთოდი
- ინდუქციური მეთოდი
- დედუქციური მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი
- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- კვლევის მეთოდები
- პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია

სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ/რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას, კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

#### 1.3. შეფასების ფორმები

- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი)
- დასკვნითი შეფასება

#### 1.4. შეფასების მეთოდები

- ტესტი
- ესე/ესეი
- დემონსტრირება
- გამოფენა
- პრეზენტაცია
- კლაუზურა
- ვიზუალური კომუნიკაციის ხერხებით პროექტის წარმოდგენა და დაცვა
- პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება
- სტუდიურ ჯგუფში მუშაობა
- დისკუსიაში მონაწილეობა

## V. დამატებითი ინფორმაცია

### 1.1. აკადემიური პერსონალი

არქიტექტურის სკოლას უნდა ჰყავდეს შესაბამისი რაოდენობის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს არქიტექტურაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისა და ამ დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესრულებას;

### 1.2 რესურსები და ინფრასტრუქტურა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში სასურველია გათვალისწინებული იყოს საპროექტო სტუდია, რომელიც თავისი შინაარსით უფრო მეტია ვიდრე ჩვეულებრივი აუდიტორია. ის ქმნის სპეციფიკურ გარემოს შემოქმედებითი მუშაობისთვის, რომლის თეორიული და პრაქტიკული საგანმანათლებლო სარგებელი გაცილებით დიდია, ვიდრე ინდივიდუალური მუშაობისას.

უსდ-ში უნდა არსებობდეს: სალექციო აუდიტორიები, საგამოფენო სივრცე, სახვითი ხელოვნების და არქიტექტურული მაკეტირების სპეციალური სახელოსნოები, კომპიუტერული კლასი, ლაბორატორია, უახლესი სპეციალური ლიტერატურით, მათ შორის უცხოენოვანი პერიოდული გამოცემებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

არქიტექტურის პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი სასწავლებლები უნდა უზრუნველყოფდნენ სტუდენტების პრაქტიკას საპროექტო ორგანიზაციებში. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია აღნიშნული პრაქტიკა ჩატარდეს უსდ-ის სივრცეში რეალურ საპროექტო გარემოსთან მიახლოებულ პირობებში.

### 1.3 მარეგულირებელი კანონმდებლობა:

- განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციონი (ISCED-F-2013);  
International Standard Classification of Education. Fields of education and training 2013 (ISCED-F 2013) –Detailed field descriptions.  
<http://uis.unesco.org/sites/default/files/documents/international-standard-classification-of-education-fields-of-education-and-training-2013>
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2005/36 / EC პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ (2005 წლის 7 სექტემბერი);  
Directive 2005/36/EC of the European Parliament and of the Council of 7 September 2005 on the recognition of professional qualifications  
<http://data.europa.eu/eli/dir/2005/36/oj>
- UNESCO-UIA CHARTER FOR ARCHITECTURAL EDUCATION Revised, 2017 Edition 2017 Sexennial revision with no modifications of the 2011 Edition.  
<https://www.uia-architectes.org/webApi/uploads/ressourcefile/178/charter2017en.pdf>



4. იუნესკოსა (UNESCO) და არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) ვალიდაციის სისტემა. პროცედურული სახელმძღვანელო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სისტემებისათვის ( 2017 წლის ივნისი).

<https://www.sadas-pea.gr/archive/2000-2011/35795%20D.pdf>

ქვეყნის კანონმდებლობა და მარეგულირებელი დოკუმენტები არქიტექტურაში:

5. საქართველოს კანონი საქართველოს სივრცის დაგეგმვის, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი 2018 წლის 20 ივლისი;
6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება №69/ნ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“.

#### 1.4 მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

- მე-6 დონის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; ამასთან, მოპოვებული 240 ECTS კრედიტიდან მირითად სწავლის სფეროზე გათვალისწინებულ უნდა იქნას არანაკლებ 180 ECTS კრედიტისა;
- მე-7 დონის საგანმანათლებლო პროგრამის, არანაკლებ 120 ECTS კრედიტისა, დაძლევის შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება არქიტექტურის მაგისტრის ხარისხი.

## VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	დავით აბულაძე	საქართველოს არქიტექტორთა კავშირი	თავმჯდომარე
2.	გიორგი ჩხეტია	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ასისტენტ-პროფესორი
3.	ჯერი ვოგლერი	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პროფესორი
4.	ნანა ქუთათელაძე	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემია	ასოცირებული პროფესორი
5.	ია კუპატაძე	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
6.	ირინე ცუხიშვილი	საქართველოს პარლამენტი	დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური

			პოლიტიკის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი
7.	გაიოზ (გიზო) ფარცხალაძე	შათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი	ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი
8.	გიორგი გიორგაძე	აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
9.	გიორგი წანაწყენიშვილი	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
10.	ნინო ლალიძე	საქართველოს უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
11.	ნინო ხაჩეიშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი